# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი.

ფასი:
წლიურათ . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვირგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 114
წელიწადი მეორე
1913
ხუთშაბათი, 1 აგვისტო.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".

ტელეფონი № 149.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ელექტრო-თეატრი „რადიუმი"
1, 2, 3, და 4, აგვისტოს 1913 წ.

პატე ჟურნალი.
ჯოჯოხეთის ხეობა.
დრამა 3 ნაწ. კატორღელების ცხოვრებიდან.

სამიჯნურო ზარათი
დიდი კომედია ყველას და ყველგან საყვარელის მაქს ლონდენის მონაწილეობით.

პროგრამის გარეთ:
მხიარული მონა-ქალები--მონანი შრომისა,
დრამა 2 მოქმ.

დეპო ლამპეულის, ჭურჭეულობის, ავეჯეულობის და შპალერის ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,
მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურები და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ლუმლები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინოლიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთები, აურებელი ასარჩევი ნიმუშები შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
პატივის ცემით ფ. ს. ფილიპოვი.


მაკრინე ოტია გოცირიძის ასული ამირეჯიბისა, სიმონ და მინა მიხეილის ძენი ამირეჯიბები, ლიდია იაგორ მდივნის ასული ამირეჯიბისა, ოლღა ოტია ჩიქოვანის ასული ამირეჯიბისა, თ. ათინა იოსებ ამირეჯიბის ასული ერისთვისა და თ-დი ალექსანდრე სპანდიერის ძე ერისთავი გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა უდროოთ გარდაცვალებასა საყვარელის და დაუვიწყარის პირველი შვილისა თვისისა, მეორენი დისა მათისა, მესამენი მულისა მათისა, მეოთხე ბიძაშვილისა თვისისა და მეხუთე ცოლისდისა თვისისა პოლკოვნიკის ქვრივის

**გაიანე მიხეილ ამირეჯიბის ასულის ჯაფარიძისას,**

უმორჩილესათ სთხოვენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ რათა პატივი სცენ და დაესწრონ მიცვალებულის ცხედრის გამოსვენებას და დაკრძალვას წმინდა გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე მარიამობისთვის 2 რიცხვს 1913 წ. დღით პარასკევს, ნაშვადღევის 5 საათზე, სოფელ მესხეთში (ქუთაისის მაზრა), განსვენებულის საკუთარ სახლში.


ქუთაისი.
პაიებზე დამყარებული ამხანაგობა
კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი.
გაზაფხულისა
და ზაფხულის სეზონი
ტრიკო, კასტორი, დიოგონალი, ჩესუნჩა, რაგოჟი, ტილო, პარუსინა, ბატისტა, კისეია, შემიზი, ჩითი.
პოპლინი, მესალინი, ქიერონი, ლიბერტი, ლევანტინი, სტოლსაფრები, „პოკრივალო", პირსახოცი, ხელსახოცები, მადაპალამი, ლანკორტი.

ახალი წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელისა
ქუთაისში ალექსანდრეს ქუჩაზე ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა
უდიდესი
წიგნის მაღაზია
კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.
ახალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტათ მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.
ახალ მაღაზიას სურს შეამსუბუქოს გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით. ამაზე ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.
ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდი მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი მლიერ იაფათ.


## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ქ. ქუთაისში მოვაჭრე ამროსი ხვინგია თავის სავაჭროში გაზ. „იმერეთის" ხელის მომწერლებს სთხოვს რომელსაც არა აქვთ პირველ იანვრიდან გაზეთის დასავეთი ფული შემოტანილი დაუყონებლივ შემოიტანონ წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.


თფილისის მეორე რვაკლასიანი
კომერციულ სასწავლებლის ადმინისტრაცია ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ განყოფილებაში და 1, 2, 3, 4, 5, და 6 კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პირველ კლასში მიიღებიან | 10—12 წლ. | მეოთხეში | „ | „ | 13—16 წლ. |
| მეორეში „ | „ 11—14 „ | მეხუთეში | „ | „ | 14—17 „ |
| მესამეში „ | „ 12—15 „ | მეექვსეში | „ | „ | 15—18 „ |

ადრესი: პანასევიჩის ქუჩა, № 38.

ახალი გამოგონება მეცნიერებაში
ერთადერთი სახმარებელი ვენახის აქიმობისათვის და მცენარეთა დასაცავათ სოკოების ავათმყოფობისაგან და მწერთაგან
ახალი სითხე უაკმენის ММ
უმთავრესი წარმომადგენელი მთელი რუსეთისათვის კანტორა კლო ელურული
ქუთაისში საწყობი და ნარდი გაყიდვა ი. გოკიელოვის შვილების სავაჭრო სახლში ქუთაისში.

ქ. ქუთაისში.
კაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტრო კურსები
გ. გ. გივინეიშვილისა.
კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით. (გიმნაზია, საქალაქო- და სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა, სახლი ბარქაიასი.)

თ. ა. მთავრიშვილის
წიგნის მაღაზია
აუწყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს
დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა
წიგნები,
რომელნიც იხმარება ქალაქ ქუთაისის და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშვალო სასწავლებლებში.
ფასები საკმაოდ დაკლებულია.
მსურველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები და სხ., რასაც ძალიან დაკლებულ ფასათ დაუყონებლივ მივაწვდით გოკიელის საკანცელარიო მაღაზიიდან.
მისამართი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.

ქალთა პროგიმნაზია
მარიამ გვინიხიძის ასულისა
გადავიდა იმავე თფილისის ქუჩაზე ობორინის შესახვევის კუთხეში. გამრეკელის შენობაში.
მოწაფეების მიღება დაიწყება ყველა კლასში 15 აგვისტოდან.


გაზეთი „იმერეთი" იყიდება მესხეთის ქუჩაზე მოვაჭრე ამროსი ხვინგიასთან, იქვე მიიღება ხელისმოწერაც.


აქიმი ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

აქიმი ი. ჩარექოვი
ხუთ ივნისიდან მიიღებს კანის და ვენერიული ავათმყოფებს ახალ ბინაზე. გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

შინაგან სნეულებათა აქიმი
ნიკ. ივ. შენგელია. მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

იყიდება
ქუთაისში „პოდგორნი" ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.
მისამართი: „პოდგორნი" ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.

აქიმი კ. თ. ტყეშელაშვილი.
ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი ვენერიული კანის) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.


### ქუთაისი, 1 აგვისტო.

ჩვენი შედარებით ღარიბი, საზოგადოება დიდძალ ფულს ხარჯავს უმაღლეს სწავლა აღზდის საქმეზე.

თფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა, წერა კითხვის საზოგადოება, შავი ქვის მრეწველთა საბჭო და კერძო ქველმომქმედნიც კი თვისი ბიუჯეტის კარგა დიდ ნაწილს სტიპენდიებს ანდომებენ.

ამით საშვალება ეძლევა ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობის იმ ნაწილს, რომელსაც საკუთარი შეძლება არააქვს, სწავლა საზოგადოების დახმარებით მიიღოს.

სამწუხაროთ დღეს ჩვენ ხელთ არა გვაქვს დაახლოებითი ცნობები მაინც —რამდენია რუსეთის ან ევროპის უმაღლეს სასწავლებელში ქართველი სტიპენდიანტი, აგრეთვე ვარაუდით შეგვიძლიან მხოლოდ ვიანგარიშოთ, თუ რაგვარი თანხა ხმარდება საერთოდ სტიპენდიებს. ამაზე და ქართველ სტუდენტთა რაოდენობაზე ალბათ პასუხს მოგვცემს ის ანკეტა, რომელიც ამ ზამთარში მოახდინა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველმა სამეცნიერო წრემ, ამ ჟამათ კი იძულებულ ვართ უციფროთ ვილაპარაკოთ.

ყოველ შემთხვევაში დღესაც აშკარაა, რომ საქმეებისთვის ღარიბ საზოგადო დაწესებულებათა სალაროდან დიდი თანხა გადის საზოგადოების ხარჯით ახალგაზდობას უმაღლეს სასწავლებლებში აღსაზდელათ: ჩვენში მრავალი საერო საქმე ფერხდება უფულობის გამო —ისეთი საქმე, რომლის სარგებლობასა და ნაყოფიე-

# დღიური.

— ბულგარელებმა კონტრიბუციის გადახდაზე სერბიელებს კატეგორიული უარი განუცხადეს.

— ოფიციალური ცნობაა—ავსტრია კ. ვალას ბულგარეთისთვის არ მოითხოვს, ხოლო ცენტრალური მაკედონიის მოთხოვნაში კი მხარს დაუჭერსო.

— ბუქარესტის სამშვიდობო კონფერენციის შესახებ რუსეთის ელჩს ვენაში ბერხტჰოლდთან მოლაპარაკება ქონდა.

— ავსტრიის პრესა ბულგარეთის სასარგებლოთ აგიტაციას სწევს და მოითხოვს ბუქარესტის კონფერენციის დადგენილებათა განხილვას.

— გერმანია კონფერენციის დადგენილებათა განხილვაზე უარსაა.

— ინგლისის ელჩმა თავის ნოტა კონფერენციის დადგენილებათა შესახებ უკან წაიღო.

— სერბიელები რუსეთისა და ავსტრიის უკმაყოფილო არიან ბულგარეთის გამოსარჩლებისათვის.

— სკუტარაში ადმირალ ბერნეიმ ალბანეთი დამოუკიდებელ სამეფოთ გამოაცხადდა.

— ეკონომიური მხრით დაახლოების შესახებ სერბიასა და რუმინიას ერთმანეთში მოლაპარაკება აქვთ.

— 15 ათასი ოსმალო ჯარის კაცი ადრიანოპოლის მახლობლათ სიმაგრეების გასამაგრებლათ მუშაობს.

— საზონოვმა რუმინიის საგარეო საქმეთა მინისტრს ზავის ჩამოგდება მიულოცა.

— ვენეზილოსმა სერბიისა და მთაშავეთის ელჩებს საუზმე გაუმართა და სურვილი გამოსთქვა—ამ სამ სახელმწიფოთა კავშირი არ დარღვეულიყოს.

— ბარცელონაში გაფიცვა დასრულდა, მუშებმა მთავრობის წინადადება მიიღეს.

— პეტერბურგში უეცრათ გარდაიცვალა მწერალი ავსეენკო.

— ჰელსინგფორსის მახლობლათ ცელულოიდის ქარხანა დაიწვა. ზარალი მილიონ მანეთზე მეტია.

— ცნობაა—ბალტიის ფლოტის 47 მეზღვაურს სასჯელი შეუმსუბუქდებათო.

— სახელმწიფო ბანკმა გადასწყვიტა, გაუიაფოს კრედიტი წვრილ მემამულეებს პურის მოსავლის დროს.

— კრასნოიარსკში სასამართლომ 4 კაცს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

— კიევში გულის ავათმყოფობით უეცრათ გარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს წევრი პიხნო.

---

რობის შესახებ ორი აზრი შეუძლებელია.

სტიპენდიებისთვის ათი ათასებია გადადებული და ამ გვარი თანხები ყოველ წლობით იზდება. რაკი სხვა საერო საქმეზე უპირატესობა უმაღლესი კურსის დასრულებას მიენიჭა, რაკი იგი იმდენათ დიდი ყურადღების ღირსი გახდა, რომ მისთვის სხვა დარგებში საქმე შეფერხებულია, ჩვენ უფლება გვაქვს ვიკითხოთ:—რა სარგებლობა მოაქვს ქართველი ერისთვის ამ დიპლომიანებს, რამდენათ ნაყოფიერია ჩვენში მათი მოღვაწეობა, ინაზღაურებს საზოგადოება დანახარჯს, თუ დაკარგულათ უნდა ჩაითვალოს იგი?

(სანამ ამ კითხვებზე ვუპასუხებდეთ, საჭიროთ ვსთვლით, ვსთქვათ, რომ ჩვენ სახეში ინტელიგენციის და სტუდენტობის უმრავლესობა გვყავს).

ჩვენი სტუდენტობის დაქვეითებაზე ბევრი რამ დაიწერა და ალბათ კიდევ ბევრი დაიწერება. საზოგადოებაში, კერძო ბაასში, თეატრში თუ ოჯახში მათი ლანძღვა ხომ მოდათ გახდა... დღეს ჩვენში სტუდენტის გინება „კარგიტონის“ ნიშანია.

ბევრი სამართლიანი და უსამართლო ბრალდება გაისმის მათ წინააღმდეგ. დღეს ამას ჩვენ არ ვარჩევთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ სტუდენტობა ჩვენი იტელიგენციის ხორცი და სისხლია, მისი ღვიძლი ძმაა და რა ნაკლიც ერთს ახასიათებს, იგი მეორესიც აუცილებელი თვისებაა. სამწუხარო და სავალალო-კი ის არის, რომ როგორც ერთი ისე მეორე (ინტელიგენცია სტუდენტობა) ჩვენი გადაგვარების რუსიფიკაციის შეუგნებელი და ძალაუნებური აგენტები არიან (მეტ წილათ უნებლიეთ ისინი ატარებენ ჩვენს ქვეყანაში უცხო კულტურას). გულითა და სიტყვით ეროვნული იდეის მატარებელნი, საქმით ამავე იდეის ზღან წინ ეღობებიან.

ეს არის ჩვენი დროის უკულმართობა, რაც დაძლეული უნდა იქმნას, თუ არ გვინდა რომ სამარის კარებამდი მივიდეთ.

ნათქვამი რო ლიტონ სიტყვათ არ ჩამომართვან, გავარკვიოთ დაწვრილებით:

ქართველი სტუდენტი სწავლობს უცხო მეცნიერებას (თუ კი სწავლობს), კითხულობს რუსულ წიგნს და რუსულ გაზეთს, ლაპარაკობს რუსულათ, აზროვნობს რუსულათ და თუ მოახერხა კურს დასრულებული რჩება რუსეთში. ეს უკანასკნელი მისი იდეალია:—კულტურული ცენტრი, დიდი ქალაქი მოსკოვი, პეტერბურგი, რა გამაძლებიებს ამას შემდეგ ქუთაისში ან ხონში... აი, მისი მსჯელობა. მაგრამ დიდ ქალაქში დაბანაკება, საზდოს მოპოება შეუძლებელი ხდება. მაშინ იგი მიდის რუსის პროვინციაში შედის სახელმწიფო სამსახურში, ხდება მოხელეთ. უკეთესი ნაყოფი არც იმას მოაქვს, ვინც სამშობლოში ბრუნდება. აქაც იგივე რუსეთიდან ჩამოტანილი რუსული აზროვნება, გაზეთი, წიგნი—ერთი სიტყვით ყოველივე რითაც გადაგვარება დახასიათდება. ქართული საზოგადო კულტურულ—განმანათლებელ საზოგადოებაში მოღვაწეობას იგი გაურბის (ან კი რა უნდა იმოღვაწოს), წელიწადში ერთხელ რომელიმე კრებას თუ დაესწრება, ან ქართული წარმოდგენის ბილეთს იყიდის, ეს დიდ სხვერპლათ მიაჩნია და ვილაცას აყვედრის. ასე სახვერპლოთ, შეიძლება; ქართული გაზეთიც გამოიწეროს, მაგრამ ჩახედვით კი ერთხელაც შიგ არ ჩაიხედავს... უცნობია ასეთი ტიპი მკითხველო შენთვის?

ასეთ გზაზეა დამდგარი ჩვენი ინტელიგენცია, ასეთების ასაზღდელათ იხარჯება დღეს ის ფული, რომლის დანიშნულებაა ეროვნული გაამტკიცოს, მომავალს ნიადაგი მოუმზადოს.

ასეთი უკულმართობა შემთხვევითი მოვლენა როდია, იგი აუცილებლათ თან სდევს უცხო ენაზე უმაღლეს განათლების მიღებას, იგი აუცილებელი შედეგია ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობის განუვითარებლობისა, საერობო და სხვაგვარ თვითმართველობის უქონლობისა. ხოლო სანამ ყველა ამას მოკლებული ვართ, სანამ არა გვაქვს სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებანი, ბანკები და საკრედიტო ამხანაგობები, სანამ არ არის საერობო თვითმართველობა, ე. ი. ისეთი ორგანოები, სადაც ინტელიგენტური ძალებია საჭირო, შესაძლოა უკულმართობა ცოტაოდენათ შემცირდეს, სავსებით მისი მოსპობა კი შეუძლებელია! ცხადია, ჩვენმა საზოგადო დაწესებულებებმა უნდა შესცვალონ თავიანთი პოლიტიკა სტიპენდიების განაწილების საქმეში. ქართველი საზოგადოება ხელს ვერ შეუწყობს იმ საქმეს, რა საქმეც თვით მის არსებობას ძირს უთხრის.

# რისთვის!

განა საჭიროა ლაპარაკი იმაზე, თუ რაოდენი ზარალი მისცა ბალკანეთის ტრაგედიამ მეომარ სამეფოებს? პატარა-პატარა სახელმწიფოები სისხლიდან დაიწრიტენ, ყანები დაუთესელი დარჩა, ოჯახები შიმშილით წყდება, შიმშილობამა და ხოლერამ ხალხს მუსრი გაავლო, ხალხის ნაამაგარით ავსებული სახელმწიფო ხაზინათა სალაროები დაცარიელდა და ყველაფერი ეს ვისთვის, ან რისთვის? ბუქარესტში დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება ეს ტილოს ნაჭერია, რომლითაც დროებით შეიხვევენ ჭრილობას, შეაჩერებენ სისხლის დენას და მოიხსნიან თუ არა, ჭრილობა მეტის სიმწვავით წამოყოფს თავს და სისხლიც ზღვასავით წამოვა. ბულგარეთის დიპლომატები არ ფარვენ და აშკარათ ამბობენ: „ახლანდელი ხელშეკრულება წარმავალია. ბერძნებში გამეფებულ დამჩაგვრელ ტენდეციებს ერთ დროს ბულგარეთი პასუხს მოსთხოვსო“... და სხ. ნუ დავაივიწყდებათ, რომ საქმე კავალას შეეხება, რომლის დასაკუთრებაზე ასეთი თავგამოდებული იყო „განდიდების მანიით“ შეპყრობილი ვენიზელოსი. ერთი სიტყვით ბუქარესტი ვერ მისცემს დასასრულს იმ სულისკვეთებას, რომელმაც კაი ხანია ბალკანეთის სამეფოებში იჩინა თავი და მეტის სიმკაცრით განმეორდება ის, რაც დღეს დროებით მისწყდა. არ ეყოთ ის ზღვა სისხლი, რომელმაც ბალკანეთის ნახევარი კუნძული მორწყო, არ ეყოთ სხვერპლი, რომელიც „მოძმეთა“ ომმა შეიწირა.

ორივე ომმა 300 ათას კაცზე მეტი იმსხვერპლა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ მილიონებსა და მილიარდებს, მშრომელი ხალხის მონაგარს, რომელიც ომზე დაიხარჯა. და ვის დაატყდა ყველა ეს უბედურება თავზე, საზოგადოების რომელმა ნაწილმა გაიღო ესოდენი უთვალავი სხვერპლი, ვისი ოფლით ნაშოვნი კაპიკები დაიღვა მადაუშლილ სახსვერპლოზე? ყოველივე მდაბიო, მშრომელ ხალხს, მცხოვრებთა დემოკრატიულ ნაწილს აწევს კისერზე დამოკლეს ხმალსავით, ყოველი კაპიკი გლეხობის ოფლშია ამოვლებული, და გლეხთა ქონებიდან მოისმის სასოწარმკვეთი და ამაშფოთი კვნესა გოდება ომში დაკარგული, ბრძოლის ველზე გაგმირული ჯარისკაცისა წვრილი ცოლშვილის, რომელიც ამ ჟამათ უპატრონოთ და ულუკმაპუროთ, ბედის ანაბარა დარჩენილა. კიდევ ვიმორებ—ვისთვის ან რისთვის იყო საჭირო ესოდენი სისხლი, ესოდენი ზვარაკი? „დატანჯულ მოძმეთა“ ხსნის პრინციპმა ხომ ჩაილურის წყალი მიირთვა და მოკავშირეთა შორის ომი ხომ იმ მაკედონიის დასაკუთრების გამო ატყდა, რომლის თავისუფლებას ერთობ ძალიან შეხაროდენ და შეტრფოდენ პირველ ხანებში მოკავშირენი?

სად არის მაკედონიის ავტონომია, სად არის ერთა თანასწოროის პრინციპი, რათ დაიღვარა ამდენი სისხლი? ამის პასუხს დაახლოვებით „რუსკოე სლოვოს“ პუბლიცისტი ბაიანი გვაძლევს, რომელიც ამბობს: „გამოქვეყნებულია მაგალითად, რომ სერბია-საბერძნეთის კავშირი ბულგარეთის წინაამდეგ მაშინ მწიფდებოდა, როცა მოკავშირეთა შორის ჯერ კიდევ კარგი განწყობილება არსებობდა, როცა ბულგარეთი ჩატალჯაში იბძოდა და სერბია ბულგარეთთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ადრიანოპოლზე იერიშით მიდიოდაო... როდესაც ალტყინება გაქრება, როდესაც ბალკანეთის ცეცხლი ჩაქრება და ხალხი გამოფხიზლდება, მაშინ ადგილობრივ დიპლომატთა და „პატრიოტთა“ ცარიელი თავებიდან მოხრილი ცხვირებითა და გაგძელებული ყურებით პარიზისა, ვენისა, ბერლინის და პეტერბურგის ბანკირ—აფერისტები გამოჩნდებიანო“. თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ ისტორიულ [illegible], რომელმაც ნიადაგი შეამზადა, [illegible] ომი ბანკირთა აფერის შედეგია; ესოდენი სხვერპლი ბანკირთა „კომბინაციების“ ნაყოფია. ომობს ფული, იბრძვის ფული, იწრიტება სისხლიდან მშრომელი ელემენტი, უსახლკაროთ რჩება გლეხობა და ეს ყოველივე იმისთვის, რომ ამა თუ იმ დინასტიის წარმომადგენელი ტახტზე იყოს მიკრულ-მიჯაჭული და ორიოდე ავანტიურისტმა ბანკირმა ჯიბეები გაისქელოს.

ბევრმა უწყის, რა შედეგიც მოყვა 10 ივლისს მომხდარ ნაზიმ-ფაშას მკვლელობას. მოკლეს მახმუდ-შევკეტი და ჩატალჯის ჯარი სტამბოლისკენ, ახალგაზდა ოსმალთა გასანადგურებლათ გაეშურა და, როგორ გგონიათ, პირველყოვლისა რა იარაღს მიმართა გზაკვალ აბნეულმა ახალგაზდა ოსმალთა მთავრობამ თავის დასაცავათ? პარიზში ფინანსიურ კონფერენციაზე დამსწრე თავის ელჩებს დეპეშით აცნობა—ყოველგვარ კონცესიებს დაპირდით პარიზის ბანკირებს 24 მილიონი გამოართვით მეამბოხე ჯარის დასამშვიდებლათ, თვარა ვიღუპებითო... აი, როგორი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო საქმეებში ფულს. იგივე ბაიანი ამბობს:—დამტკიცებულია, რომ გერმანელი კრუპი ფრანგულ შოვინისტურ გაზეთებს სცემს, ფრანგი კრეზო კი—გერმანულს“.

ერთი სიტყვით გამოდის, რომ გერმანელი მექარხნის მიერ ჩამოსხმული ზარბაზნები გერმანიასვე აქვს მიმიზნებული, ფრანგი მექარხნისა კი—საფრანგეთს. ფული ხრწნის ყოველივეს, სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობასაც კი და ფულისთვის არაფერი წმინდა არ არსებობს, და, რა გასაკვირალია, თუ ევროპის ბანკირებმა თავიც არ მოიფხანონ, ყურიც არ გააპანტურონ, როდესაც თანამედროვე ომის ასეთ აურაცხელ სხვერპლს ხედვენ. აიღეთ იმავე კრუპის პროცესი, გამოირკვა, რომ გერმანიის ჯარის შტაბს არც ერთი საიდუმლო არ ქონია, რომელიც კრუპის ფირმას არ სცოდნოდეს, მას თავისი ფულით, ქრთამებით გაუხრწნია ჯარისკაცები, „მეომარი გმირები“, რომლითაც ასე ამაყობს ჰოჰენცოლერნთა სახელოვანი წარმომადგენე-

---

# ლე და ზენა.

### შექმნილი ლეგენდა.

(დასასრული იხილე „იმერეთი“ № 113).

7.

ლემ მოიარა საბერძნეთი. იყო ინდოეთში და ბოლოს ეწვია კოლხეთს.

დიდის ამბით დაუხვდენ ტახტის მემკვიდრეს... მოხუცმა მამამ დაულოცა ტახტი თავის პირმშოს და იგიც სიხარულით ატაცებული ავიდა ტახტზე...

ბედნიერია ლე, მხოლოდ ხანდახან გაახსენდება სალომე მაგდალინელი, მოჩვენება და მწარეთ ამოიოხრებს... ის ახლა საზაფხულო სასახლეშია, რომელიც პაწა მდინარის პირასაა გაშენებული მთის თხემზე...

შავდღეა.

ლე ჩრდილში ზის მარტო და ბუნების სიმშვენიერით სტკბება... უცებ ლილინი შემოესმა... გაიხედა კალათით ხელში ვიღაც ასული ხიდან ჩამოხტა, ცქრიალით, მიირბინა მასთან და ყურძნის მტევანი მიაწოდა.

— ზენა!! ზენა... შენ?—ძლივს მოასწრო ლემ დაძახება. და გულწასული დაეცა დაფრთხალი და თავს ადგა. ბოლოს მობრუნდა...

— რა იყო ლე, რა დაგემართა?—ეკითხებოდა შეშინებული ზენა.

— არაფერი, არა...

და ლეს ტირილი აუვარდა.—მის წინ ის მოჩვენება იდგა, რომელიც მას უცხოეთში არა ერთ გზის მოეჩვენა და რომელიც ასე უყვარდა, მისი ღმერთი იყო. და ეს მოჩვენება მისი ღვიძლი და გამოდგა...

— სჭამე, გენაცვალე! ლეს შუბლზე აკოცა. და გაშორდა...

8.

ბაღის ერთ კუთხეში ხის ძირას მოწყენილი ზის ზენა. ის სევდა, რომელიც მას შემოაწვა ეს რამდენიმე ხანია, ლეს მოსვლით უფრო გაურკვეცდა უფრო მტანჯავი შეიქნა. ჯერ არ იცის მიზეზი ამ სევდისა, ამ კაეშნისა... ნუთუ ვინმე შემიყვარდა გაიფიქრა მან. გაახსენდა საქმრო, მიდიელი მეფის ვაჟი და ზიზღმა შეიპყრო. მერე გადაარჩია ყველა, ვინც კი შეეძლო შეეყვარებია, მაგრამ არა...

უცებ მისი ლე გაჩნდა. ზენას გააზმორა... შეკრთა. ტანჯვის ქრუანტელმა ტანს დაუარა... მაგრამ... თვალები ცრემლით აევსო, ტანჯვისა და სიყვარულის გამომხატველი ცრემლით და აქვითინდა.

— რა გატირებს?!—და ზენას სევდიანი თვალები მიაპყრა. ვეღარ გაუძლო, ოდეს მის თვალებში თვისი მხედველობის ისარი შეაპარა და ზენას წინ მუხლებზე დაეშვა:

— ზენა, გაფიცებ ყველაფერს,—ქვითინით დაიწყო ლემ—ყური დამიგდე: შენ ჩემი და ხარ! ჰო, ჩემი და—ერთად გავჩნდით, ცხრა თვეს ერთად გვატარა დედამ. მერე ერთმანეთს გავშორდით და დღეს ეს სულ მესამეთ გხედავ, მაგრამ მე სახე შენი ბავშობიდან წინ მიდგა, ვით მოჩვენება და მე ვქნიდი მას, როგორც სინამდვილეს ჩემს ოცნებაში... რომის ტაძრებსა და ბაღებში როს ვენერასა და აფროდიტეს სახეებს შევცქეროდი, იმათ ვსტაცებდი ლერწმოვან ტანს და შენს ტანს ვაქანდაკებდი. მათი პირი სახე, ლამაზი პირისახე რომ არ მაკმაყოფილებდა ეშხითა და მიმზიდველობით, მზეს, ჩამავალ მზეს, რომელიც დასავლეთის ტატნობზე კვდება, ვპარავდი სიწითლეს მიმზიდველობას და მით შენს ლაწვებსა და ტუჩებს ვქსოვდი ოდეს შავი ყურყუმი ღამე დადგებოდა რომის გარშემო გამოქვაბულში შევდიოდი, რომ იქაური სიბნელე მომეპარა და მით წარბები, წამწამები, შენი თვალის კაკლები შემექნა.

და ასე—არ გიცნობდი და შენი სახის ცალ-ცალკე ნაწილები წინ მედგა. ვიცოდი შენი ტანი, შენი ლოყები, შენი თვალები, წარბები, მხოლოდ შენ—სინამდვილეს—არ გიცნობდი. არ მენახე, სანამ ერთ საღამოს ტიბრის ნაპირზე მჯდომარემ შენზედა ფიქრით, არ ჩაუშვი ტიბრო ტალღებში ჩემს ოცნებაში შექმნილი ნაწილები, და ტიბრმა დაასრულა ჩემი დაწყებული სურათი და შექმნა შენი სახე ჩემის დახმარებით. და გამომეცხადა იგი, უკვე ხორცსხმული, მშვენიერი—და იგი შენ იყავი—ჩემის ოცნებით შექმნილი.

შენ, შენ, შენ ზენა!

ჩემს თვალწინ სდგას ის, ვინც მე ტანჯვით და წვალებით საუკუნეთა წარსულში ვნახე, მერე ოცნებაში გამოვიწვიე, და ახლა სინამდვილეში ვხედავ. ზენა, ზენა: მიყვარხარ. თვრამეტი წელიწადი დაშორებული ვიყავი შენგან—და ეს თვრამეტი წელიწადი მტანჯავი იყო ჩემთვის. ზენა, ზენა შემიყვარე!—ქვითინებდა ლე.

— ლე, ლე.—დაიწყო ზენამ.—ძვირფასო, დაფიქრდი, რას ლაპარაკობ. დაფიქრდი... მე დანიშნული ვარ. ამასთან და ვარ შენი... ცოდვააა, ღმერთების მიერ დაწესებული. ლე, ლე...—მეტი ვეღარ მოახერხა ზენამ და ტირილით სასახლისკენ გაეშურა.

9.

მწარეთ დაღონებული ზის ვეფხის ძვირფას ტყავზე მაგდალინელი. თუმცა იგი კმაყოფილია თვისი ბედის:—მან თვით ღვთაებრივი ნაზარეველის ყურადღება დაიმსახურა, მაგრამ კოლხეთელზე ფიქრი მაინც აწუხებს.—როგორ! იგი უარყო კოლხეთელმა, მაშინ როცა იგი ჯერ არავის დაუწუნია? ბრაზმა შეიპყრო.

— ღვთაებრივი ხო დაატყვევეს... როგორც ამბობენ, ჯვარს აცმენ—გაიფიქრა მან და თვალს ცრემლი მოსწყდა.

უცებ ყიჟინი მოესმა.

ფანჯარაში გაიხედა—ხალხი უკან მისდევს ღვთაებრივს, ნაზარეველს ზურგზე ვებერთელა ჯვარი უდევს. მაგდალინელი დაავიწყდა კოლხეთელი, და ისიც ბრბოში გაერია. მიუახლოვდა ნაზარეველს, შეხედა, მიაჩერდა თვალებში. ღვთაებრივი სულ სხვა სევდით იყო გატაცებული მისი სევდით სავსე თვალები ყველას ღმობიერათ მისჩერებოდა: იქ არ იყო არავისადმი სიძულვილი. მიაშტერდა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა, მაგრამ ნაზარეველის წარბები არ გახრილა, მისი თვალები არ შეძრეულა, იგი ისეთივე სიყვარულით მისჩერებოდა მაგდალინელს, როგორც იმ მუშაკს, რომელმაც სახრე გადაკრა და თვალებში მიანეწყვა.

შეფიქრდა მაგდალინელი...

ამასობაში ღვთაებრივი გოლგოთაზე აიყვანეს...

გააკრეს ჯვარზე. მაგდალინელი სხვებთან ჯვარის ძირას იდგა და ღვთაებრივს მისჩერებოდა...

— მე მოვკვდები და მესამე დღეს აღვსდგები... მოვკვდები მისთვის, რომ ხალხს დავანახო, რომ ჭეშმარიტება არ კვდება და იგიც ჩემსავებრ აღსდგება!!—წასჩურჩულა ნაზარეველმა მარიამს...

— მარიამ მაგდალინელო, კიდევ გეტყვი, მე მოვკვდები და მესამე დღეს აღვსდგები... მოდი განთიადისას მესამე დღეს ჩემს საფლავზე და მომილოცე აღდგომა, მომილოცე აღდგომა ისეთი რამით, რაც კაცობრიობას ჯერ არ ეხილოს.

— კეთილი! მაგრამ, ღვთაებრივო, მომეცი ძალა შენსავით ვიმოქმედო სასწაული ამ ორ დღეში, ვიდრე შენ აღსდგებოდე...

— მ..ომიცია!.. ჩამოსძახა მომაკვდავმა ნაზარეველმა.

10.

უძლეველმა სიყვარულმა შეიპყრო ლე, დაუსრულებელმა ტანჯვამ შეიპყრო ზენა. ორივ ერთმანეთს ეტრფიან, ერთმანეთის სიყვარულით სევდიანობენ, ერთმანეთის ტრფობით არ იციან რა ქნან. მაგრამ თვისი სიყვარული ვერ გაუმხელიათ. მოხუცი მამისა ერიდებათ. და უტყვათ დნებიან, დნებიან ერთმანეთის სიყვარულით. ერთმანეთს ელტვიან, მაგრამ ეს ლტოლვა მხოლოდ ოხვრით გამოიხატება...

შემოდგომა რომ დადგა, ზენა მიდიელთა მეფის ძემ წაიყვანა. მაგრამ მიდიაში იგი ლოგინათ ჩავარდა.

ქმარს არ მიეკარა. ზენა ტანჯვით მხოლოდ ლეს იგონებს, მისთვის ბინდდება და დნება. დნება ლეც. ორივე ჩონჩხათ გადაიქცა: მხოლოდ გულში რამდენიმე წვეთი სისხლისა დარჩათ, რომელიც ძლიერი სიყვარულით იყო გაშუქებული და ერთმანეთის ლტოლვით სცოცხლობდენ.

11

შაბათი საღამოა. მაგდალინელი ერთ ფუსფუსშია. დაამზადა ძვირფასი ნელსაცხებელი, რომლით ღვთაებრივს დალურსმული ფეხები უნდა დაუზილოს.

ხვალ განთიადისას ის ნაზარეველის საფლავზე უნდა მივიდეს... იგი აღსდგე-

ლი და აგენტებით ყოლია შტაბის ყველა თვალსაჩინო აფიცერი. ერთი სიტყვით, ფულია მილიტარიზმზე აღორძინებული სახელმწიფოს სულის ჩამდგმელი, იგია მისი მანუგეშებელი და ამიტომ გასაკვირი არაა, თუ იმპერატორი ვილჰელმის იუბილეზე სტუმრათ მოსულს ამერიკელ მილიარდერ კერნეჯის ვილჰელმი პირზე ღიმილით შეხვდა და მეგობრულათ გაუწოდა ხელი. ეს ხომ ორი ხელიხელ ჩაკიდებული, დაძმობილებული და მჭიდროთ ერთმანეთთან დაკავშირებული ბოროტე[ბა], რომელმაც შეიძლება კვლავაც აუარებელი და უთვალავი სხვერპლი და ზვარაკი შეიწიროს, მაგრამ რომელიც ერთ დროს მაინც ვერ გაუძლებს ,,განახლებისა გრიგალის ქროლვას" და ფესვებშივე ჩაკვდება ძლიერისა და მძლე მარჯვენით. ბალკანეთის პატარა სახელმწიფონიც ,,მოგების" პრინციპით ხელმძღვანელობდენ, განდიდების სურვილით შეპყრობილი „პოლიტიკანები" ხალხის სისხლს, მათ სარჩოსაბადებელს, შოვინისტურ სულისკვეთებაზე ახურდავებდენ და აჰა შედეგიც: აყვავებული მიდამოები უდაბნოთ გადაქცეულა, სადაც დახოცილ ჯარისკაცთა ლეშებს ყვავ-ყორნები სდარაჯობენ... ირგვლივ მწარე მოთქმაგოდება გამეფებულა, ვინ ქმარს სტირის, ვინ შვილს, სოფლები აუოხრებიათ და გადაუბუგავთ, სარჩო საბადებელი გაუნადგურებიათ, სახლში ქალები და მოხუცები-ღა დარჩენილა და მერე რისთვის? ამის პასუხს ისტორია მოსთხოვს დღევანდელი ტრაგედიის სულის-ჩამდგმელთა და მესვეურთ.

**იმერი.**

## ნარკვევი.

პოლიციის რეფორმა რამდენიმე წელია მორიგ საკითხათ ითვლება მართველ წრეებში. ამ რეფორმის ღირსება ნაკლულევანება დაწვრილებით აღნიშნეს რუსეთის სატახტო გაზეთებმა. ამჟამათ მთავრობას განზრახვა აქვს რუსეთის ზოგიერთ ქალაქებში შეუდგეს რეფორმის ტარებას.

ამის გამო მოსკოვის ოკტომბრისტების გაზეთი—„გოლოს მოსკვი" სწერს.

,,პოლიციის რეფორმა თუ კი იგი განხორციელდა მხოლოდ ქაღალდზე დარჩება, სანამ მოქალაქეობრივი უფლებები ცხოვრებაში არ გატარდება,

პოლიციის რეფორმა საპოლიციო წესდების გადისინჯვით კი არ უნდა დაიწყოს, არამედ პიროვნების უფლების და მის ხელშეუხებლობის განსაზღვრით. მანამდი კი ლაპარაკი პოლიციის რეფორმაზე უბრალო—წყლის ნაყვა იქნება, მუდამ ვიტრიალებთ ბოროტმოქმედებისა და რევიზიის მოჯადოებულ წრეში...

ბოროტმოქმედება, რევიზია, კიდევ ბორტ მოქმედება კიდევ რევიზია!...

სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ რამდენი ხანია, რაც ასეთ ჰანგებზე მღერის გუჩკოვის ორგანო?!

—

,,ზარბაზნის მეფის" კრუპის პროცესმა ერთხელ კიდევ დაგვანახა, თუ რა ძმური და ამხანაგური კავშირი არსებობს კაპიტალისტებსა და მართველი წრეების შორის და სად მიდის, როგორ ან რაზე იხარჯება ის ფული, ის მილიონ—მილიარდები, რომელსაც მილიტარიზმის ზრდა-განვითარება მოითხოვს. გერმანიის რეიხსტაგში სამხედრო ხარჯთაღრიცხვის პრინციპს წელს დიდის ენერგიით იცავდა გერმანიის კანცლერი მინისტრთა კაბინეტითურთ და დეპუტატებს უმტკიცებდენ, რომ ჩვენმიერ შემოტანილს ხსენებულ კანონპროექტს მხოლოდ მამულის მოღალატენი და ორგულნი არ მიიღებენო"... მას შემდეგ არც დიდი ხანია გასული და აჰა, უკვე მთელი გერმანიის ხალხის თვალწინ იშლება საინტერესო პროცესი... გერმანიის საარტილერიო უწყებისა. აი, რას სწერს რუსული გაზეთი ,,დენი" ამის შესახებ:

,,იჩნევდა საქმე ,,პორუჩიკი ტილიანისა და სხვათა", მაგრამ საზოგადოებაში ამას კრუპის საქმე ერქვა. უოველშემთხვევაში ასეთი აზრი შემცდარია. თუ პროცესს საზოგადოებრივ მნიშვნელობას ხაზი გუსურს გავუსვათ, მაშინ ამ პროცესს გერმანიის საარტილერიო უწყების პროცესი უნდა ვუწოდოთ. მხოლოდ ამ უწყების მსახურთ ასამართლებდა სამხედრო სასამართლო, კრუპის მოსამსახურენი მხოლოდ მოწმეებათ იყვნენ მოწოდებული.

სხვათა შორის, გაზეთი განცვიფრებულია იმ გარემოებით, რომ საარტილერიო უწყების ზოგიერთ მოსამსახურეს კრუპის ფირმა ქრთამათ 10—20 მარკის მეტს არ აძლევდა და სურს მიზეზი გამონახოს. მიზეზიც გაზეთის სიტყვით შემდეგია:

...ეჭვეს ბრალდებული აცხადებდა, რომ მთავრობას კრუპთან არავითარი საიდუმლო არ ქონდა და ამიტომ ისინი შესაძლებლათ სცნობდენ კრუპის აგენტი ბრანდისთვის ცნობები მიეწოდებიათ. ნამდვილათ საიდუმლო შეიძლება კ—დეც იყო რამე, მაგრამ ცხადია წვრილი მოსამსახურენი არც ასე ადვილათ შეცდებოდენ, რომ ისინი მოწმე არ ყოფილიყვნენ იმისა, თუ უმაღლესი მთავრობა, მთავრობის წევრნი და თვის იმპერატორი როგორ უძმობილდებოდენ კრუპს....

ვილჰელმი და კრუპი! ხოლო რა ძვირათაც დაუჯდება გერმანიის ხალხს მათი ,,ხმაშეწყობილი" კონცერტი, ეს ხსენებულმა პროცესმა ნათლათ დაგვანახა.

## ახალი ამბავი.

✦ სოფ. საქარაში (შორაპნის მაზრა) ყაჩაღებს პოლიციელებთან შეტაკება მოსვლიათ. პოლიციელების მხრით ერთი დარაჯია მოკლული და ერთიც დაჭრილი. დარაჯებს დაუჭრიათ იონა ლორთქიფანიძე, რომელსაც ქუთაისის გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლის დირექტორთა დაჭრა ბრალდება. ორი ყაჩაღი გაქცევია თ.

✦ სამშაბათს, საღამოს 7 საათზე პეტერბურგიდან მოასვენეს სამხედრო მფრინავის ცოմაიას ცხედარი.

✦ ბათომის სახელმწიფო ბანკის მართველის განკარგულებით ხელოსანთა წვრილი კრედიტის ახალი გამგეობის ასარჩევათ შაბათისთვის საზოგადო კრება მოწვეული.

✦ გუშინ ქუთაისში დაიწყო მევინეობისა და მევენახეობის საგუბერნიო კომიტეტის კრება. უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ეს კრებებ გარეშე პირთა დაუსწრებლათ ხდება, კრებებზე არ უშვებენ არც პრესის წარმომადგენლებსაო. რა უნდა ექნეს სასაიდუმლო ამ საზოგადოებას—ვერ გაგვიგია.

✦ დღეიდან ქუთაისში ი. თარგამაძის რედაქტორობით გამოდის ქართული ყოველ-დღიური გაზეთი „განთიადი".

✦ ამ მოკლე ხანში რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი მაკლაკოვი რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებს დაივლის საპოლიციო დაწესებულებათა დასათვალიერებლათ. მინისტრი კავკასიის ქალაქებსაც დაივლის.

✦ ქუთაისის საგუბერნიო სამართველოს სამშენებლო განყოფილების ინჟინერი ჟდანოვი თფილისის საგუბერნიო სამშენებლო განყოფილების ინჟინრათ დაინიშნა.

✦ ოზურგეთის მაზრის დაბა ცხემლის ხიდში უკვე მოქმედება დაიწყო ახლათ გახსნილმა წვრილი კრედიტის ამხანაგობამ ჯერჯერობით 120 კაცამდია ჩაწერილი.

✦ კვირას 28 ივლისს ქუთაისის საგუბერნიო ციხე დაათვალიერა ქუთაისის ვიცე-გუბერნატორმა მაკაროვმა. კატორგელმა ტყვეებმა შესჩივლეს, რომ ბორკილის ვადა გათავებული გვაქვს და აგვიხსენითო. ბევრი სხვადასხვა წვრილმანი საჩივრებიც მოისმინა და ყველას შეპირდა საქმის ჯეროვან გამოძიებას.

✦ 28 აგვისტოს, ქუთაისის ოლქის სასამართლო გაარჩევს შალიკო ჩიკვანიძის საქმეს, რომელსაც ბრალდება ზესტაფონში კოლი ნემსაძის მოკვლა.

✦ ამ ჟამათ ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ქლექის ნიშნებით ავათ არის 39 ტყვე. ესინი ცალკე არის მოთავსებული.

✦ სენატმა დაამტკიცა გრიგოლ გადელიას საქმე. ოლქის სასამართლომ მას 5 წელი და 6 თვე მიუსაჯა დაცემისათვის. იგი მალე რუსეთის საკატორგო ციხეში ეტაპით გაიგზავნება.

✦ ამ დროებით ქუთაისის საგუბერნიო ციხეში წიგნთ საცავ-სამკითხველო ძლიერ ცუდ პირობებშია. დღემდი მკითხველ პატიმარს შეეძლო ყოველ ორშაბათობით გამოეცვალა და აერჩია ისეთი წიგნი რაც მას სურდა, ახლა თვეში ერთხელ თუ გეღირსა, ისიც ლოცვანი, და რაღაც ზღაპრების წიგნების.

✦ სახელმწიფო სათათბიროში შემოდგომაზე განიხილვენ კადეტთა მიერ შეტანილ კანონ-პროექტს კავკასიის სანამესტნიკოდან ჩერნოგორიის გუბერნიის გამოყოფის შესახებ. ხსენებულ გუბერნიის შეუერთდება სოხუმის ოლქი,—ქუთაისის გუბერნია, სადაც შემოღებული იქნება ერობა.

✦ გზათა მინისტრის ნებართვით დარუბანდიდან სალიანამდი რკინის გზას გაიყვანებენ 300 ვერსზე.

✦ ქუთაისის მაზრის მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწე გუბარევსკი ბაქოს მაზრის მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე გადაიყვანეს.

✦ ჯუმათის სადგურზე მატარებელმა დაჰშავა მეისრე ჩერნიაევსკი.

✦ 27 ივლისს დასრულდა სვანეთში მასწავლებელთა პედაგოგიური კურსები. კურსებზე მთელი სვანეთის მასწავლებლები (20 კაცი) იყო მიწვეული. გუშინწინ ისინი სვანეთიდან ქუთაისს ჩამოვიდენ.

### მოწერილი ამბავი.

**სვირი** (ზემო იმერეთი). 28 ივლისს სვირის სამკითხველოს წევრთა კრება მოხდა. კრებას წ. კ. საზოგადოების სამკითხველოების მეთვალყურე დოლაბერიძე დაესწრო. გადააყენეს ძველი გამგეობა და ახალი აირჩიეს. ახალ გამგეობას დაევალა დაუყონებლათ დაიქირაოს სამკითხველოსთვის ბინა და განაახლოს სამკითხველო არსებობა. ამასთანავე აირჩიეს კომისია, რომელსაც დაევალა ძველი გამგეობისათვის ანგარიშების ჩამორთმევა და იმ მიზეზების გამორკვევა, რომელმაც სამკითხველო ამმდგომარეობამდი მიიყვანა.

— 29 ივლისს გაიმართა წარმოდგენა. წარმოადგინეს სოფლის გმირები" და „ორი გლახა". წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო.

**სიმონეთი.** 29 ივლისს სამკითხველოს წევრთა კრებაზე აირჩიეს კომისია, და დაავალეს სამკითხველოს საკუთარ ბინის ასაგებ შენობისათვის საჭირო ადგილის გამოძებნა. კრებას დაესწრო სამკითხველოების მეთვალყურე დოლაბერიძე.

**ლანჩხუთი** (გურია) ამ ზაფხულს ჩვენი აქიმიცა და ფერშლებიც საავარაროთ წავიდენ და დაბა და მისი მიდამო და საავათმყოფო უპატრონოთ დარჩენილია. ერთადერთი ფერშალია დარჩენილი და ყველას ის როგორ უნდა გასწვდეს.

## რუსეთი.

**სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალი.** 1913 წლის პირველ ოთხ თვეში ე. ი. პირველ მაისამდი ხაზინას პირდაპირი გადასახადების სახით 79,229,000 მანეთი შემოსულია. თუ წარსულს წელს შევადარებთ წლევანდელი შემოსავალი წასულის შემოსავალს 8,507,000 მანეთით სჭარბობს. არა პირდაპირი გადასახადიც გადიდებულა 5,534 000 მანეთით და წელს აქედან შემოსავალი 178,275000 მანეთი ყოფილა. ყოველნაირ გადასახადს წელს მეტი შემოსავალი მოუცია ხსენებულ თვეებში სულ შემოსულია 1000422000 მანეთი ხოლო ჩვეულებრივი ხარჯი ყოფილა 791,505,000 მანეთი და საგანგებოც 31,800000 მანეთი.

**ჩხრეკა რედაქციაში.** პეტერბურგის სამოსამართლო პალატის დადგენილებით 27 ივლისს გაჩხრიკეს „რაბოჩაია პრავდას" და „ჟივაია ჟიზნის" რედაქციები. გადასინჯეს კანტორის წიგნები ხელნაწერები და სხვა. უნდოდათ გაეგოთ „რაბოჩაია პრავდა" დახურული „პრავდას" გაგძელება ხომ არ არის. „ჟივაია ჟიზნის" რედაქციაში ნახეს გაზეთი ლუჩის ბლანკები.

**ფინლანდიის სეიმი.** ფინლანდიის სეიმის არჩევნები დასრულდა. სოციალდემოკრატებმა მიიღეს 287757 ხმა „სტაორფინებმა" 149303, „[ახალფინელებმა]" 96231, შვედებმა 99223, „აგრარიებმა" 52250, ქრისტიანებმა მუშებმა 4690 და სხ.

**კასოს ცირკულარი.** კასომ ოლქის მზრუნველებს გაუგზავნა ცირკულარი და აცნობა სახალხო შკოლების ინსპექტორებათ დანიშნეთ მხოლოდ უმაღლესი სწავლა მიღებულებიო.

## უცხოეთი.

**თეირანის ამბები.** სპარსეთის მთავრობამ, შვედელ აფიცერთა და ჟანდარმთა ისტრუქტორების თხოვნით, დაავალა თეირანში მცხოვრებ ბახტარიების ხანებს, რომ მათ ხალხს აუკრძალონ ქუჩებში იარაღით სიარული. რუსეთისა და ინგლისის მისიამ ბახტარიების ხანს გუშინდელი შეტაკების გამო პროტესტი გაუცხადა. ბახტარიების ხანის სამსამ-სალტანეს ბინის წინ ჟანდრებმა სამი ტყვიის მტყორცნელი დასდგეს. ბახტარიები თეირანიდან მიდიან.

**ასკვიტი და სუფრაჟისტი ქალები** მთავარმა მინისტრმა ასკვიტმა მიიღო მშვიდობიანი სუფრაჟისტქალთა დეპუტაცია. დეპუტაციამ ასკვიტს მემორანდუმი გადასცა. მემორანდუმში თხოულობენ ქალთათვის საარჩევნო უფლებას, რომ საარჩევნო უფლების შესახებ ბილი პარლამენტში მთავრობამ შეიტანოს. ასკვიტმა უპასუხა—ამის შესახებ ვერაფერს დაგპირდებითო.

**არეულობა ინდოეთის მამადიანებში.** იგლისის მეფე ინდოეთში 70 მილიონი მამადიანის ბძანებელია, მაშინ როდესაც ოსმალეთის ფადი-შახის მფარველობის ქვეშ 11—12 მილიონი მამადიანიც კი არ არის. მიუხედავათ ამისა ინგლისის პოლიტიკა ყოველთვის მართლმორწმუნეთა ხალიფის მხარეზე იყო.

ლონდონის კონფერენციაზე ინგლისი ოსმალეთის წინააღმდეგ მიდიოდა. მაშინ ინდოეთის მამადიანები კრებებს მართავდენ და ინგლისის პოლიტიკას პროტესტს უცხადებდენ. ახლაც დიდი არეულობა გამოიწვია იმ გარამოებამ, რომ დიდი სახელმწიფოები ოსმალეთს სთხოვენ ადრიანოპოლიდან გასვლას.

## ბალკანეთის ამბები.

**ოსმალეთის ჯარი ფრაკიაში.** 15 ათასი ოსმალო მუშაობს ადრიანოპოლსა და კირკილისეში სიმაგრეების ასაგებათ. ადრიანოპოლის კომენდატათ ენვერ-ბეი დანიშნეს, კირკილისის ფეხტერ-ბეი. ფრაკიაში განუწყვეტლივ იგზავნება სამხედრო სურსათით დატვირთულ ტრანსპორტები. იბარებენ კომერსანტებს ადრიანოპოლში სხვადასხვა საქონლის გასაგზავნათ, სთხოვენ ადრიანოპოლში ფქვილის, ერბოსა და კოლონიალური საქონლის გაგზავნას. ფრაკიიდან გამოქცეული ქრისტიანები, ოსმალების ძალმომრეობის შესახებ შემაძრწუნებელ ამბავს ლაპარაკობენ.

**ოსმალეთის პრესა.** ოსმალური გაზეთი „ტანინი" სახელმწიფოთა ნოტის შესახებ სწერს: —მიუხედავათ ყოველგვარი ცთისა: რომ ნოტის რედაქცია კარგათ შეედგინათ ყოველ სიტყვაში მაინც გამოსჭვივის აზრთა რყევა და შეგნება თავის მოთხოვნილებათა უსამართლობისა. ამ დოკუმენტის რედაქციის შედგენას 17 დღეს მოუნდენ. სახელმწიფოებს თითქოს უნდოდათ დაემტკიცებიათ რომ ლოღიკური მსჯელობის უნარი დაკარგეს ნოტის დასაწყისში ლაპარაკობენ ევროპა აიძულებს ოსმალეთს ლონდონის ტრაკტატი შეასრულოსო და ამავე დროს იწყნარებენ ამ ტრაკტატის დარღვევა- საბერძნეთ-ბულგარეთის საზღვრის საკითხის დროს. თუ კი ბერძნებს და ბულგარლებს აქვთ უფლება ტრაკტატში შესწორება შეიტანონ, რატომ ჩვენ კი არ უნდა გვქონდეს ეს უფლება. ზოგიერთები ამბობენ, ოსმალეთის სატახტო ქალაქის უზრუნველყოფაზე, მაგრამ ადრიანოპოლი თუ დავთმეთ სტამბოლის უზრუნველყოფაც მაშინაა შეუძლებელი. სწორეთ ასეთი პასუხი უნდა გასცეს ოსმალეთმა სახელმწიფოთა ნოტებზე.

---

[მაგდალინელმ]ა და უნდა მიულოცოს აღდგომა. მაგრამ რა მიართვას, რით მიულოცოს?! [იც]ის უკვე მაგდალინელმა და იგი [გა]ხარებულია—მაგრამ მის სიხარულში [ცრ]ემლის ძაფებიც ურევია...

— დიახ, ნაზარეველს მივართმევ სიყვარულის სიმბოლოს და აღდგომას მოვულოცავ...

ამ დროს კარზე ვიღაცამ მოაკაკუნა. მაგდალინელმა კარი გაალო და შემოსულმა თავმოკრული თიხის ქოთანი გადასცა.

— ქალბატონო!—და მომტანს ცრემლი მოერია.

— მერე, მერე მომიყვები!

მაგდალინელმა ქოთანს თავი მოხადა და ორი გული ამოიღო. აიღო ბასრი [და] დასცა: ორივედან ჰიქაში ათი წვეთი სისხლი დაეცა.

კიდევ მორთოლავი გულები ლამბაქზე დასდვა და რაღაც წაიბუტბუტა: ორივე გული კვერცხათ გადაიქცა. და დაიწყო ფრთხილათ მაგდალინელმა ღებვა.

— აბა, ახლა მიამბე.

— ქალბატონო. კოლხეთში რომ მიველი ლეს გულის ამოსაგლეჯათ, იქვე დამხვდა ახლათ მოსული ზენა. იმ დროს ვიყავი, როცა ლე შეხვდა ზენას და სიყვარულით ერთმანეთს გადაეხვიენ. მეც ორივე და თქვენი ბძანებისამებრ, სწორეთ ამ დროს...

— რა? დაიძახა მაგდალინელმა და ცრემლი მოადგა თვალს, მოსწყდა და ღებილ კვერცხს დაეცა.

— სწორეთ ამ დროს ამოვგლიჯე ორივეს გულები, სიყვარულით სავსე გულები... და ორივე იმ წამს მკვდრები დაეცენ...

კიდევ დაეცა კვერცხს მაგდალინელის ცრემლი. მაგდალინელმა შეღება კვერცხათ ქცეული ლესა და ზენას გულები მათივე საკუთარი სისხლით. და მით იძია შური კოლხეთისა.

და დაამზადა მისალოცი ნაზარეველისთვის, ისეთი მისალოცი, რომელიც კაცობრიობას ჯერ არ ეხილა.

12.

— ეს რაა?—შეეკითხა ახლათ აღდგომილი ნაზარეველი მაგდალინელს და წითელ კვერცხებზე უჩვენა.

— ის, რაც ჯერ კაცობრიობამ არ იცოდა და რაც ყველაფერზე უმშვენიერესია.

— ჰე!—და ღვთაებრივს სევდა მოადგა სახეზე, ვიცი, ვიცი. შენ დიდი ცოდვა ჩაგიდენია მაგდალინელო, მოგიკლავს ქვეყანაზე ჭეშმარიტი სიყვარული, რომელიც აწი აღარ გამეორდება. შენ მოგისპია ისეთი რამ, რომელსაც აწი ველარ იგემებს ადამიანი. სამს დღეში ორი რამ უწამებიათ. ჭეშმარიტება—რომლის სხვერპლი მე გავხდი და სიყვარული... ეს მკრთალი ლაქები რისია კვერცხებზე?

— ჩემი ცრემლების, ღვთაებრივო...

— შენი ცრემლები?! აკი ვსთქვი. ადამიანი აწ მრავალ ცრემლს დაღვრის იმის დასაბრუნებლათ, რაც შენ დაასამარე. მაგრამ იგი ერთხელ მკვდარი აღარ დაბრუნდება, რადგან მისი სიკვდილი არ შეიძლებოდა. აწ იგი აჩრდილივით ქვეყანაზე ხან აქ ხან იქ გაჩნდება; ადამიანი მისკენ ხელს, გულს გაიშვერს, მაგრამ იგი მას სინამდვილეში აღარ მოეკარება... აი, რა გიქნია შენ, მაგდალინელო. შენ შეუგნებლათ მიმხვდარხარ, რაც ჩაგიდენია და ცრემლი დაგიღვრია—ამით იგი მოჩვენებათ გაგიხდია, რაც ცრემლითა და ტანჯვით მოევლინება ადამიანს და მერე ისევ გაქრება...

მაგდალინელი სდუმდა. ბოლოს კადრა.

— ღვთაებრივო, მოწაფენი, ხალხი გელის, არ წამოხვალ?

— არა!

— რათ?

— მე ერთის იმედი მქონდა, რომელიც ქვეყნათ დავსტოვე და ისიც გამქრალა. მე ხალხს აღარ გამოვუჩნდები, თვარა მეორეთ გამაკვრენ ჯვარზე...

— რისი იმედი გქონდა ღვთაებრივო?

— სიყვარულის!—წასჩურჩულა ნაზარეველმა და ჩქარის ნაბიჯით გაშორდა...

13.

ქვეყანაზე ჭეშმარიტება ნაზარეველის წამებით დასამარდა. სიყვარული—ლე და ზენას სიკვდილით.

მაგრამ ადამიანი ჭეშმარიტებას ელტვის და ამ ლტოლვას ნაზარეველის აღდგომის ხსენებით ეგებება. სიყვარულის განახლებას წითელ კვერცხს უძღვნის.

ამიტომაც არის სააღდგომოთ წითელ კვერცხებს ღებვენ, მაგრამ რაც უნდა წითლათ შეღებონ, ზედ მაინც აქა-იქ მკრთალი ლაქები ამჩნევია. ეს ცრემლია—მაგდალინელის, რომელიც მან შეღებვის დროს ზედ დააფრქვია, და რომელიც მისი ნიშანია, რომ სიყვარული სრულათ არ გამქრალა. იგი აჩრდილივით დაძრწის: დღეს ერთს მოეჩვენება, ხვალ მეორეს... მაგრამ იგი ქვეყნათ აღარ ჩამოვიდა.

მას აქეთ აღარაა სიყვარული სინამდვილე არის მხოლოდ მისდამი ლტოლვა..

ს. დიმი. **დია ჩიანელი.**

**მიღებულია:**
რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✦✦ **იყიდება ზომიერ ფასათ** ✦✦

**სააფთრო სახლი**
**ი. გოკიელის**
**ქუთაისში.**

| ბორჯომის წყალი | | თავის ქურქლით | | |
| --- | --- | --- | --- | --- |
| | | 1 ბოთლი | 10 ბოთ. | ყუთი (ი) |
| | 1/2 | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 11 მ. 50 კ. |
| შვილების | 1/2 | 16½ კ. | 1 მ. 60 კ. | 15 მ. 75 კ. |
| ნარზანი და ესენტუკი № 20 | 1/2 | 14½ კ. | 1 მ. 40 კ. | 13 მ. 50 კ. |


# მშრომელი ხალხი.

**გაფიცვა მილანში.** მილანში საყოველთაო გაფიცვა გძელდება. ოთხი დღეა ლითონის სამრეწველოს მუშები გაფიცული არიან. ქალაქში ცხოვრების მაჯის ცემა მოდუნდა. მუშებს წვრილი შეტაკება უხდება ჯართან და პოლიციელებთან. ბევრია დაჭრილი. დაახლოებით ორასი კაცია დაპატიმრებული. გაფიცვა რომ შეწყდეს, ამის იმედი არ არის. სინდიკატების ცენტრალურმა კომიტეტმა კრება გამართა და გადაწყვიტა მოამზადოს გაფიცვისთვის მუშათა კლასი, რომ საჭირო დროს საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადოს.

**გაფიცვა ესპანიაში.** კატალონის მუშათა კავშირმა გამოაცხადა საყოველთაო გაფიცვა. გაფიცვის გამო დააპატიმრეს ბევრი სინდიკალისტი. ქალაქში განსაკუთრებული წესები გამოაცხადეს.

**გაფიცვები ლოძში.** ტრამვაის მოსამსახურეებმა ეკონომიური მოთხოვნილებანი წარადგინეს. არ დაუკმაყოფილეს და მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ჯარი და პოლიცია მზათაა.

**მინსკში** მეჩექმეებს გაიფიცენ, თხოულობენ ჯამაგირის მომატებას.

— მინსკში ასანთის ქარხნის მუშები დააკმაყოფილეს. მუშებმა მუშაობა განახლეს.

პეტერბურგში „ნოვაია აივაზას“ ქარხნის მუშები 11 დღეა გაფიცული არიან. გაფიცულები კრებებს მართვენ.

## მართლა გაურბიან სამეურნეო განათლებას?

(ტრ. ჯაფარიძის წერილის გამო).

**წერილი ჟენევიდან.**

„ვინა სთქვა საქართველოზე ეგ არის ლომი კვდებაო“? დიახ, სწორეთ დღეს შეგვიძლია ამ სიტყვების თქმა. მართალია საქართველოს ჯერ კიდევ ყავს უკუღმართი შვილები; მართალია, სულ ახლო წარსულში საქართველოს საუკეთესო მიწების რამდენიმე ათასი დღიურები გადაგვარებულმა და მოღალატეებმა საქართველოს გულში, უცხოელთა სოფლები გაგვიშენეს (იხ. „იმერეთში“ ბ-ნ ნიკო ტ-ძეს წერილები), მაგრამ მაინც იმედი არ უნდა დავკარგოთ. ვიცი, როგორც პესიმისტობა არვარგა, ისე გადაჭარბებული ოპტიმისტობაც არაა. კარგი მაგრამ სადაა აქ ჩვენი გადაჭარბებული ოპტიმისტობა? გადავხედოთ საქართველოს ახალთაობას, მომავალ თაობას. რას გვეუბნება იგი? ბევრს, ძალიან ბევრს.

ვჩიოდით სამეურნეო ჩვენს ქვეყანას, მეურნენი არა ყავსო, მაგრამ ამ ბოლო დროს შეხედეთ როგორი თავგამოდებით ეტანება ახალგაზდობა უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლებს?

როდესაც ბ. ჯაფარიძის წერილი წავიკითხეთ, ვსთქვით, ნაადრევი ხომ არაა ჩვენი ოპტიმისტობა-თქო. ალბათ სამშობლოს დაშორებულს თანამემამულეთა მცირედი მუშაობაც კი დიდათ გვეჩვენება-თქო, მაგრამ ისიც დავსძინეთ, რომ არც ბ. ჯაფარიძის წერილია, გადაუჭარბებელი. და მართლაც ახალგაზდობა განა გაურბის სამეურნეო განათლებას?

იყო დრო, და ეს დრო არც ისე შორეულია, როდესაც მართლა სრულებით არ მოგვეპოებოდენ უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლებში, დღეს კი ამას ველარ ვიტყვით. ჩვენდა სასიამოვნოთ გასჭრა პრესის გოდებამ და თუ ჯერ ბევრი არა, რამდენიმე მაინც გაამგზავრა მოსკოვის ახალ ალექსანდრიის, ვერსალის, მონპელიეს, ჟამბლუეს და სხვა, ევროპის თუ რუსეთის სამეურნეო სასწავლებლებში. პირადათ ჩვენ, ჩამოთვლილ ქალაქებში თორმეტი ნაცნობი თანამემამულე გვყავს და თუ ვიგულისხმებთ იმას, რომ ჩვენს ნაცნობებს გარდა სხვებიც იქნება, მაშინ უნდა დაგვეთანხმოს ბ. ჯაფარიძე, რომ არც თუ ისე გაურბის თურმე სამეურნეო სასწავლებლებს ჩვენი ახალგაზდობა. ამით რა თქმა უნდა იმის თქმა არ გვინდა, თუ უკვე საკმაოთ გვყავს უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლებში. პირიქით, ჩვენი სურვილია, რაც შეიძლება მეტი მეურნე გვყავდეს და მეტიც გვეყოლებოდა, რომ ჩვენი დაწესებულებები ჯეროვან ყურადღებას აქცევდენ. რომ ჩვენი დაწესებულებები საჭირო ყურადღებით არ ეკიდებიან ჩვენს მომავალ მეურნეთ ამის მაგალ. ბევრია. სტიპენდიებსა თუ გარეშე დახმარებას მოკლებულია თითქმის სრულიად იგი, ვინც ამ დარგს აირჩევს. ბევრი შემთხვევა იყო, რომ პოეტ-ბელეტრისტები, მომღერლები და სხვ. აირჩიეს. ვინ ამბობს, თუ კი სახსარი საკმაოა, ბელეტრისტებიც გვჭირია, კაი ლექსების წაკითხვაც სასიამოვნოა, მეტადრე განცხრომის დროს, მაგრამ, ვაი, რომ ამ განცხრომაში მხოლოდ ერთი მუჭა თუ მოგვეძებნება, უმრავლესობა კი სულსა ლაფავს სიდუხჭირე-სიღარიბეში. მუსიკაც მშვენიერებაა. იგი ატკბობს ჩვენს ყურთა სმენას, იგი ამშვიდებს აღელვებულ სულს, მაგრამ ცარიელ კუჭს მუსიკა რას უშველის. მაშ ჯერ პირველ რიგში საქართველოს გამამდიდრებლებს, საქართველოს გამამშვენიერებელ-ამყვავებელთ მიეცეთ სტიპენდიები. თუ კვლავ მიწა კულტურულათ დაუმუშავებელი დაგვრჩა, იგი ერთიანათ ხელიდან გამოგვეცლება და მაშინ ერიც და მისი ეროვნული მუსიკა-ლექსებიც ტერიტორიასთან ერთად მოსპობა...

**თეთრი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ. რედაქტორო!**

გაზეთი „ახალი აზრის“ მე 6 №-ში დაისტამბა დაბა შორაპნიდან ვიღაც „მგზავრის“ წერილი აქაური შკოლის მასწავლებლების ბუაჩიძისა და ჩირგაძის შესახებ, ვითომდა ხსენებული მასწავლებლები გაკვეთილის დროს არშიყობდენ და სხვა. ჩვენ უზომოთ აღშფოთებული ვართ ასეთი ჭორიკანული. და ყოვლათ უსაფუძვლო წერილით.

ხსენებული მასწავლებელნი დიდი ხანი არაა რაც შორაპანს მოევლინენ. მას მერე რამდენი რამ გაკეთებულა ხალხის საკეთილდღეოთ კ. ბუაჩიძის მიერ. სწორეთ მისი მეოხებით და დაუღალავი მოღვაწეობით დღეს ჩვენს საზოგადოებას აქვს მშვენივრათ მოწყობილი საქალაქო ორკლასიანი შკოლა; მისი მეოხებით დაიდგა წასულ წელს ამ სასწავლებლის შენობა, სრული წელიწადია, რაც ბატ. ბუაჩიძე მხნეთ შეუდგა კოოპერატიული მაღაზიის გახსნის ნებართვის ალებას და თქვენისთანა მაბეზღარების მეოხებით ძლივს ახლახან მიაღწია მიზანს. მისივე მონაწილეობით დადახმარებით არსებობს დაბა შორაპანში საკრედიტო ამხანაგობა: სწორეთ ბუაჩიძე იყო, რომ ქუთაისის სახალხო შკოლების დირექტორიდან ვაი-ვაგლახით აიღო ნებართვა სახალხო ლექციების მოწყობის შესახებ, მაგრამ თქვენისთანა მაბეზღარებმა სათავეშივე ჩაშალეს ეს საქმე. მიუხედავათ ამისა, იმედი გვაქვს, მასწავლებლები არ შეუშინდებიან თქვენისთანა მაბეზღარა ქვემძრომებს და მიზანს მიაღწევენ. გვესმის თქვენი გულის თქმანი და „საქმენი საგმირონი“. ტყუილათ ამოფარებიხართ „მგზავრს“. ვიცნობთ, არა ერთხელ გამოგვიმჟღავნებია თქვენი ცუღლუტობა და საზოგადო საქმეში ფუქსავატობა. არ დაგაკლებთ ამას არც მომავალში და სწორეთ ამის მომლოდინემ ასტეხეთ ალბათ თავგვით წრიპინი. ჩანს, იგრძენით მთელი საშიშროება თქვენ მიერ ჩადენილი ცოდვებისა ამ ორი წლის განმავლობაში და ამ შიშით შემოედავეთ უდანაშაულო პირთ. ჰო, ნათქვამია, გაღმა შეედავე, გამოღმა დაგრჩებაო.

შორაპნის საზოგ. ერთი ჯგუფის მონდობილობით.

**„მკვიდრი“.**

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჭელიძე.**

## რკინის გზა

**ქუთაისიდან მიდის.**

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ. სახ. 11 ს. 27 წ. ღ.

**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.

**ფოთს:** საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.

**შორაპანს:** საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ.

**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 ს. 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**

**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 წ. საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. საღ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.

**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 1 ს. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; სახ. 7 საათ. დილ-

**ფოთიდან:** საავგ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1 ს. 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.

**შორაპნიდან:** საავგ. 9 ს. 31 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. 11 საათ. 9 წ. დილ.


მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე **1913** **იმერეთი**

**გაზეთის ფასი:**

| | |
| --- | --- |
| ერთი წლით | 7 მანეთი, |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით. | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური, |

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ“

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

15 ივლისიდან 15 აგვისტომდი მიიღება ხელის მოწერა სიმონ ქვარიანის წიგნზე.

**„შოთა რუსთველი და მისი პოემა“**

წიგნი იქნება ჩვეულებრივი ფორმატის დაახლოებით 100 გვერდამდი, შოთა რუსთველის სურათით და სხვ., ეღირება ხელის მომწერთათვის მხოლოდ ერთი აბაზი, გასაყიდათ კი მეტი ფასი ექნება.

ამ წიგნის წმინდა შემოსავალი გადაიდება შოთა რუსთველის ფონდის გასამდიერებლათ.

ვინც აგენტობას ისურვებს ვთხოვთ გვაცნობოს. ადრესი: ბაღის ქუჩა ს. გერსამია.

გამომცემელი სერგო გერსამია.

იყიდება მხოლოდ ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, თფილისში

**კანონი**

გლეხთა სოფლელთა და მემამულეთა შორის დროებით ვალდებულ და დამოკიდებულ ურთიერთობის მოსპობისა ნადელის დახსნითა და შეძენით საკუთრებათ, მთავრობის დახმარებით, თფილისის, ქუთაისის, ერევნის, განჯისა და ბაქოს გუბერნიებში.

**ВРЕМЕННАЯ**

инструкція должностнымъ лицамъ и учрежденіямъ по приведенію въ исполненіе Закона 20 декабря 1912 г.

ქ. ქუთაისში (სობოროსთან

**ა. თაბაგარის მაღაზიაში**

20 ივლისიდან დანიშნულია

**დიდი იაფი ვაჭრობა**

**ველოსიპედების** და სხვ.



ამასთანავე მიღებულია დიდი ... საკერი, საქსოვი და საწერი მაშინები, გრამაფონები და მათი მოწყობილობა.

**ფასები ძლიერ დაკლებულია**

**აბანო**
**ძმ. ყორყოლაძეებისა**

მიმართეთ პირდაპირ 15 მაისიდან გაიხსნა შესანიშნავი მადნეული წყალი. შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭის და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. ფასი ხელმისაწდომი. ხრესილის რკ. გზ. სადგურიდან ორმოცდაათი საჟენის მანძილზეა. იქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი.

**გ. გორდაძის და ს. წერეთლის**

ერთად ერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“

**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**

საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ქურჭლები, ასფალტი, და სხ.
**ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.